პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 პარასკევი 21 თებერვალი № 44 (16170) ფასი 2 კაპ. 1975

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იზრდება სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების როლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამელიორაციო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების საქმეში. ეს სასწავლებლები ყოველწლიურად ამზადებენ სოფლისათვის სხვადასხვა პროფესიის ნახევარ მილიონზე მეტ კვალიფიციურ მუშას.

სოფლის ახალგაზრდობის პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლების ყველაზე ეფექტიანი ფორმა გახდა სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. მაგრამ ასეთი სასწავლებლების ქსელი ჯერ კიდევ ნელა იზრდება, მთელ რიგ ადგილებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათ მშენებლობასა და დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ. სოფლის მეურნეობის ბევრი ორგანო არ ზრუნავს იმისათვის, რომ სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებს გამოუყოს უახლესი ტექნიკა და მოწყობილობა.

დადგენილებით გათვალისწინებულია განხორციელდეს დიდი ღონისძიებანი სოფლის საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მომზადების შემდგომი სრულყოფისა და გაფართოებისათვის. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სასოფლოტექნიკას და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს განახორციელონ სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების მუშაობის ფარგლად განვითარებისა და გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან გაზსაკუთრებული უურადღება დაუთმონ კვალიფიციური მუშების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას და სოფლად მათ შენარჩუნებას.

პარტიკომი ორგანოებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად აამაღლონ სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, იხმარონ ღონისძიებანი სასწავლებლების განმტკიცებისათვის ინჟინერ-პედაგოგიური კადრებით, მათი სისტემატური სწავლების ორგანიზაციისათვის, მათ მიერ მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლებისათვის. სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციებისა და პედაგოგიური კოლექტივების მთავარი ყურადღება მიაქცეონ ისეთ საკითხებს, როგორიც არის მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლება, მათთვის კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი მორალური თვისებების, სასოფლო-სამეურნეო შრომისადმი ღრმა პატივისცემის ჩანერგვა.

საჭიროდ არის ცნობილი, რომ სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა ბორციელდებოდეს ძირითადად მსხვილი მოწინავე საბჭოთა მეურნეობების, ყველასამეურნეო და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციების, სოფლტექნიკის საწარმოების ბაზაზე, კომპლექსურად შენდებოდეს სასწავლო, ლაბორატორიულ-პრაქტიკული და საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო კორპუსები, სადაც იქნება სასადილოები, საერთო საცხოვრებლები მოსწავლეთათვის და საცხოვრებელი სახლები ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკებისათვის.

დამტკიცებულია 1976-1980 წლების დავალებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთა 250 კომპლექსის მშენებლობასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას, აგრეთვე მოქმედი სასწავლებლების გაფართოებას საშუალო სასწავლებლად მათი გარდაქმნისათვის იმ გზით, რომ აშენდეს სასწავლო კორპუსები 329,5 ათასი მოსწავლისათვის, ლაბორატორიულ-პრაქტიკული კორპუსები 127,1 ათასი მოსწავლისათვის, 505 საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო კორპუსი სასადილოებით, საერთო საცხოვრებლებით, 332,8 ათასი მოსწავლისათვის, და საცხოვრებელი სახლები ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკებისათვის 882 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

მიზანშეწონილად არის ცნობილი, რომ 1976 წლიდან აღნიშნული ობიექტების მშენებლობას მოსამართლ სახსრები, რომლებიც გამოყოფილია როგორც „სოფლის მეურნეობის“ დარგისათვის, ისე სასალხო მეურნეობის სხვა დარგებისთვისაც, რომლებიც სოფლად ვითარდება. კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აგრეთვე გამოაჩინონ საჭირო სახსრები ამ მიზნებისათვის. მოყავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ნება მიეცათ გაეერთიანონ კაპიტალური დაბანდებანი, რომლებსაც სოფლად მდებარე საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კოლმეურნეობები გამოყოფენ სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კომპლექსების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სოფლის მეურნეობის, წყალთა და სატყეო მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებსა და უწყებებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებს დაეკვალთ:

უზრუნველყონ, რომ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის კვალიფიციური მუშების, და პირველ რიგში ფართო პროფილის მექანიზატორების, სასოფლო მშენებლობის, წყალთა და სატყეო მეურნეობის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების კვალიფიციური მუშების, აგრეთვე მეტი ქალიშვილის მიღება სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

განახორციელონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები იმ მოცულობითა და ვადებში (სასწავლო წლის დასაწყისისათვის), რომლებიც საჭიროა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად;

თვითეულ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შექმნან სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები აღჭურვონ სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. აგრეთვე განახორციელონ სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების სხვა ღონისძიებანი;

სასალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლების შემუშავების დროს განსაზღვრონ სოფლის საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელთა მშენებლობის რაიონები, ამასთან უზრუნველყონ მათი რაიონალური განლაგება.

უზრუნველყონ, რომ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს გამოეყოს მიწის ნაკვეთები ახალ სასწავლო მეურნეობათა შექმნისა და მოქმედ სასწავლო მეურნეობათა გაფართოებისათვის, აგრეთვე ახალი ტექნიკა და მოწყობილობა.

გათვალისწინებულია 1976-1980 წლებში სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მასწავლებლად და საწარმოო სწავლების ოსტატებად სამუშაოდ გაგზავნონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების 41,2 ათასი კურსდამთავრებული, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მთელი რიგი ფაკულტეტები და ტექნიკუმების განყოფილებანი (ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიური ზონების გათვალისწინებით) დაასპეციალონ ამ სასწავლებლების კადრების მოსამზადებლად.

სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით დირექტორს, დირექტორების მოადგილეებს, მასწავლებლებს, აღმზრდელებს, საწარმოო სწავლების უფროს ოსტატებსა და ოსტატებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები მეურნეობის შექმნისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტის მისაღებად, აგრეთვე მთელი რიგი სხვა შეღავათები. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკებს დაეხმარონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების მატერიალური უზრუნველყოფის პირობების გასაუმჯობესებლად 1975 წლის 1 სექტემბრიდან მათ სპეცტანსაცმლის დამატებით მიეცემათ ფორმის ტანსაცმელი.

სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა უზრუნველყოს სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და სხვა სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წყალსამეურნეო და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციებისათვის, სოფლტექნიკის საწარმოებისათვის, აგრეთვე სოფლად განვითარებადი სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ვალდებული არიან გააუმჯობესონ სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა სამედიცინო და სანატორიულ-საკურორტო მომსახურება და დასვენების ორგანიზაცია.

საკავშირო პროფსაბჭომ უნდა გააუმჯობესოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, მეტად იზრუნოს მოსწავლეთა ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის, სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის მოწყობისათვის, მოსწავლეთა ყოფაცხოვრებისა და დასვენების გაუმჯობესებისათვის.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა უფრო ფართოდ გაშალოს კომკავშირული ორგანიზაციების შეფობა სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი, მეტი დახმარება გაუწიოს სასწავლებლების პედაგოგიურ კოლექტივებს მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში, იმაში, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ღრმა და მტკიცე ცოდნა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სასწავლებლებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს მოუწოდეს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი კვალიფიციურ მუშათა მომზადების დონის ამაღლებისათვის, რაც პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება.

მეგობროგისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში

20 თებერვალს დამთავრდა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ჰნოუპეკისა, იგი მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვში.

მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. აღნიშნეს იმ ყოველდღიური დაუსრულელი მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტები, პირადად ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და გ. ჰუსაკი ეწევიან ორი ქვეყნის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა ბ. ჰნოუპეკის პატივსაცემად.

საუზმის დროს, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და ბ. ჰნოუპეკმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ყოველი სამუშაო დღე, საათი — დამკვრელური!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ 1975 ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ

გამოვუშვათ „მეტი, უკეთესი ხარისხის ჯროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ᲖᲝᲒᲐᲒᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘ

თბილისი. წლევანდელი წელიწადი მაღალი ძრომითი ენთუზიაზმით დაიწყეს „საქკონსერვის“ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით გაანაღდეს წლის პირველი თვის დავალება და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. თვის გეგმით გათვალისწინებული 11.293 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 12.976 ათასი მანეთის ნაწარმი. მოძმარიგებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 1.376 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვაგვარი კონსერვები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ახალციხის, ახმეტის, ვანის, ზუგდიდის, თბილისის, ლაგოდეხის, ქუთაისის, სამტრედიის, ხობის საკონსერვო, აგარის ხილეკენკროვანი ღვინოების და სხვა ქარხნების კოლექტივები.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს „საქკონსერვის“ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გამოუშვებენ 170.438 ათასი მანეთის პროდუქციას, რაც 30 პროცენტით აღემატება შარეანდელ მაჩვენებელს.

ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

თბილისი. ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად, დამკვრელური შრომის ტემპს ინარჩუნებენ „საქსამთოქიმიის“ ტრესტის (მმართველი ნ. ცხაკაია) საწარმოები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ხუთწლედის დავალებისა და წლევანდელი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

წლის პირველი თვის შედეგებით შეჯიბრების ავანგარდში არიან საქგუმბრინის მაღაროთა სამმართველოს, მახარაძის მაღაროთა სამმართველოს, ქუთაისის საქგუმბრინის მაღაროთა სამმართველოს, რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის, ჩოდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს და ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს კოლექტივები.

ტრესტის სამთო საწარმოებმა წლის პირველ თვეში გეგმით გათვალისწინებული 1.075 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 1.187 ათასი მანეთის პროდუქცია და დავალების გადამეტებით ძოხდინეს ათეული ათასობით მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ᲑᲐᲚᲦᲡ ᲑᲐᲚᲦᲘ ᲔᲛᲐᲥᲢᲔᲑᲐ

ცხინვალისა და ზნაურის რაიონების მაღლები განთქმულია მაღალხარისხოვანი ხილით. აქ მეხედებით ვაშლის ცნობილ ჯიშებს „ბანანს“, „ბანანურ რენეტს, ზაფხულისა და ზამთრის შაფრანებს, კეტურას... ლიახვის ანკარა წყალი საუკეთესოდ აპურებს ბაღვენახებს.

„უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა ბაღების გაშენება-გაფართოებას, სიმეჩხრესთან ბრძოლას. დღითიდღე ფეხს იკიდებს ვაშლის ახალი ჯიშები, განსაკუთრებით ნაგალა მცენარეები.

წლეულს ამ რაიონებში გადაჭარბებით შესრულდა ბაღების გაშენების დავალება — ხილის ფართობებს 130 ჰექტარი შეემატა. (სსპ. ᲙᲠᲜ.).

ᲝᲡᲢᲐᲢᲝ — ᲛᲝᲬᲧᲝᲚᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წლის პირველი თვე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს საქსოვი საამქროს „ა“ ცვლის კოლექტივმა, რომელსაც ოსტატი ზაურ მიქანაძე ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდა ოსტატი კოლექტივის სული და გულია, საქმის ორგანიზატორიც არის და მუშათა კარგი აღმზრდელიც. მან იცის სიახლის ფასი, ყოველმხრივ აღვივებს და ხელს უწყობს მუშათა მირადი ინიციატივის განვითარებას, მხარს უჭერს ყოველ ახალ წამოწყებას.

ამიტომაც არის, რომ სწორედ ზ. მიქანაძის საოსტატოში დაიბადა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლებმაც არა მარტო მშობლიური საწარმოს, არამედ რესპუბლიკის მშრომელთა ყურადღება მიიპყრო და საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის სათავედ იქცა. დღეს ბევრი კოლექტივი შრომობს ქვეოსტატ ვ. გეგეშიძის ბრიგადის მეთოდით — „შესვენება უწყვეტი გრაფიკით“, რომელიც სამუშაო დროის ეკონომიის დიდი რეზერვია; ბევრმა გაიზიარა მქსოველ ლ. ჭანკოტაძის გამოცდილება, რომელიც პროდუქციის უდეფექტოდ წარმოებასა და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს.

ზ. მიქანაძის ცვლის 160-კაციანი კოლექტივი ახლა შეჯიბრებაშია ჩაბმული დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ნაკისრი აქვს ვალდებულება ნახევარი წლის დავალება 9 მაისს შეასრულოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ცვლის ოსტატი ზ. მიქანაძე.

ს. კილაძის ფოტო.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ შრომას, საქმიანობას დიდ ყურადღებას აქცევენ პარტია და ხალხი. ეს ჩვენ გვახარებს, სიამაყეს გვმატებს, მაგრამ ამასთან მეტად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, და ალბათ არ მეგულება ოსტატი, რომ მასზე დაკისრებული ეს პასუხისმგებლობა არ ესმოდეს, მას მაღალი შეგნებით არ ეკიდებოდეს.

განუსაზღვრელია ოსტატის როლი წარმოებაში, იგი არა მარტო საწარმოო პროცესების სრულყოფილად მცოდნე უნდა იყოს, არამედ ორგანიზატორის, აღმზრდელის ნიჭით დაჯილდოებულიც, რომ თავის მინდობილ უბანზე შეეძლოს საწარმოო საკითხების ოპერატიულად გადაჭრა, დავალებების განაწილება, შესრულების შემოწმება და კონტროლი.

შესრულების შემოწმების სისტემატურმა კონტროლმა, მუშაობაში ხელშეწყობამ, მასალების დროულმა მომარაგებამ, ქვეოსტატებისა და რიგითი მუშების შეხმატკბილებულმა მუშაობამ ჩვენი საამქროს კოლექტივს საშუალება მისცა იანვარში კარგი მაჩვენებლები მოეპოვებინა — დავალება 103,1 პროცენტით შეგასრულეთ და გამოვუშვით 40 ტონა ზეგეგმითი ბოჭკო.

ზემდგომი ორგანოების დადგენილება წარმოებაში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ ენთუზიაზმს მატებს ჩვენს მუშაობას. მასში გათვალისწინებულია ოსტატთა შრომის სტიმულირების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ი. ᲓᲔᲛᲘᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ქიმსართავი საამქროს ქვეოსტატი.

ᲘᲛᲘᲔᲠᲒᲐᲘᲙᲐᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲗᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ, ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲜᲘᲪᲙᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲢᲝᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲝ!

გულის სიღრმემდე ამაღელვა თქვენმა გულთბილმა წერილმა. მან მომაგონა იმიერბაიკალის სახელოვან სამხედრო ოლქის სამხედრო სამსახურის დაუვიწყარი წლები. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. საოცრად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სულიერი იერი. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდ მწვერვალებს მიაღწია კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ აღჭურვილობასა და მხედრული ოსტატობის გზაზე დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში უჭკნობი შარავანდედით მოსილმა ჩვენმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა.

უკვე ოცდაათი წელია საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ მშვიდობიან პირობებში. საერთაშორისო ცხოვრებაში უკანასკნელ წლებში მიღწეული დიდი დადებითი ცვლილებანი შეეხებამენ მსოფლიოს ყველა ხალხის იმედებსა და მისწრაფებებს. და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივალწიოთ იმას, რომ ეს პოზიტიური პროცესი შეუქცევადი გახდეს.

ამასთან ერთად ისტორია და სინამდვილე გვასწავლიან არც ერთი წუთით არ ვივიწყებდეთ იმას, რომ რეაქციისა და აგრესიის ძალები ცდილობენ ხელი შეუშალონ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღებას, განაგრძობენ ჯამაღეული შეიარაღების პოლიტიკას, ქმნიან დაბომბულობის კერებს საერთაშორისო ასპარეზზე. აი რაგომ არის, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები დღესაც უნდა იყვნენ ფხიზლად, ყოველთვის საბრძოლოდ გამზადებული.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ამხანაგო გვარდიელებო, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა მეომარი, კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად, კეთილსინდისიერად და ბეჯითად დაეუფლებით პირველი კლასის იარაღს, ითვისებთ სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოჭედილ გამარჯვების მეცნიერებას, გამოიმუშავებთ იდეურ სიმტკიცეს, გულადობასა და მამაცობას. ამ ამოცანების გადაწყვეტაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს დიდი სამამულო ომის გამოცდილებას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. თქვენი პოლკის, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის სხვა ნაწილებისა და ხომალდების საბრძოლო ჯილდოები არის საბჭოთა ფრონტელ მეომართა გმირობის მარადიული სიმბოლო, რომელთა მხედრული გმირობა სამშობლოს, ხალხის, უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითი გახდა.

თქვენი წარმატებანი დამაჯერებლად მოწმობენ, რომ გვარდიული პოლკის პირადი შემადგენლობა ღირსეულად განაგრძობს მამა-პაპათა საბრძოლო ტრადიციებს. პოლკის პატრიოტული ინიციატივა, რომ გაიშალოს სრულიად საარმიო სოციალისტური შეჯიბრება საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლებისათვის, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ჩინებულად დაუფლებისა და მოვლისათვის, საბრძოლო პირობებში მათი ეფექტიანად გამოყენებისათვის. — პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მამართვის კარგი პასუხია. დიდ კმაყოფილებას იწვევს, რომ თქვენს მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი შეიარაღებული ძალების ბრადმა შემადგენლობამ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის უანგარო ერთგულება, თავდადება მხედრული მოვალეობის შესრულებაში საბჭოთა ქვეყნის მეომრის მორალური სახის დამახასიათებელი ნიშანია.

ვუსურვებ თქვენს პოლკს, ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ყველა მეომარს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს შეეგებონ ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკური მოამზადებაში, სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

კომუნისტური სალმით

ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ᲘᲛᲘᲔᲠᲑᲐᲘᲙᲐᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲗᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ, ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲜᲘᲪᲙᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲢᲝᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲝ!

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲕᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲣᲚᲗᲑᲝᲚᲛᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲛᲐ. ᲛᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲗᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ, ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲜᲘᲪᲙᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲢᲝᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲡ

ᲛᲘᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲯᲣᲚᲓᲘᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1975 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲒᲕᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ სკკპ ცენტრ

ადამიანთა შემოწმება და საქმის შაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ლერძი.

ვ. ი. ლენინი.

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV და XV პლენუმების გადაწყვეტილებანი — სხლოვრებაში!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებს პოლიტიკური და მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თვითეული კომუნისტისთვის, ყოველი პარტიული ორგანიზაციისათვის. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით სახარუნავი ის, რომ კომუნისტებს, ყველა მშრომელს კიდევ უფრო ღრმად გავაცნოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი, აზრი და მნიშვნელობა, მოვაწყოთ მათი პრაქტიკული განხორციელება. საკითხი უწინარეს ყოვლისა ასე დგება: როგორ იცავენ სკკპ წევრები და კანდიდატები პარტიის წევრობის ერთ-ერთ პირობას — პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს საქმე ახალ სიმაღლეზე დავაყენოთ.

ემზადებოდა რა ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, პარტიის რაიკომმა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან და გზით „ვეჩერნი თბილისთან“ ერთად მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „კონტროლი და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილია“. კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც დაეგზავნა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ჩატარებისთანავე მოვაწყეთ პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის აპარატის მუშაკების, პირველადი პარტორგანიზაციების მბრძანებლების საინსტრუქტაჟო თათბირები პლენუმის, მოხსენებათა შესაბამისად მუშაობის გაწლის შესახებ.

ნოემბრის ბოლოს პარტიის რაიკომის ბიუროს დაამტკიცა დამატებითი ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად. გადაწყდა, წელს რაიონის ხელმძღვანელ ყველა ქარხნებთან ჩატარდეს თეორიული გამოკვლევები კონტროლისა და შესრულების ლენინური პრინციპების საკითხებზე, მომზადდეს ლექცია შესრულების შემოწმების ლენინურ პრინციპებზე აქტივისა და შრომითი კოლექტივების შესაბამის აუდიტორიებში წასაკითხავად.

ბიუროსა და პლენუმებზე მოსმენილი იქნება საწარმოთა და დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მდივნების ინფორმაციები ან ინგარიშები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

რაიკომისა და რაიაღმასკომის აპარატის მუშაკები მიდიან შრომითს კოლექტივებში, ეცნობიან მათს საქმიანობას, აკვირდებიან ხელმძღვანელთა მუშაობას, ინტერესს იჩენენ იმისადმი, თუ როგორ ზრუნავენ პირადად ისინი შესრულების შემოწმებაზე, როგორ არის დაყენებული ორგანიზაციაში შესრულების დისციპლინა და ა. შ.

უფრო სრულყოფილი გახდება პარტიის რაიკომის განყოფილებებში ფუნქციონალური ბარათი მისი შესრულების კონტროლისათვის. აქ შეგვაქვს დადგენილების არა მარტო მთავარი პუნქტები, არამედ მათი შესრულების გადებიც, ვის დაევალა შესრულება და ყოველივე ის, რაც კეთდება მათი განხორციელებისათვის. კონტროლი ხდება მშრომელთა კოლექტივებთან კავშირის გაძლიერებით, ეროვნული ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებით. ამავე დროს პრაქტიკაში გვაქვს შემოღებული წერილობითი ცნობების მოთხოვნა ამა თუ იმ დადგენილებათა შესრულების შესახებ. ქმედით საშუალებას წარმოადგენენ ხელმძღვანელთა ინგარიშები, საინფორმაციო ცნობები რაიკომის ბიუროს ან პლენუმის სხდომებზე, თუ რა მუშაობა წარმოებს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. რაიონში ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციაა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვა“, რომელშიც ათასობით მუშა, მეცნიერი და მოსამსახურეა, მათ შორის 450-ზე მეტი კომუნისტი. პარტიის რაიკომმა ვითვალისწინა ამ ორგანიზაციის მნიშვნელობა რაიონის ეკონომიკაში, აგრეთვე აქ პარტიულ ორგანიზაციებსა და ფეიტებზე. ამისათვის გამოყენებულია „ინფორმაციის დღეები“ პარტიის რაიკომში, საინფორმაციო მოხსენებანი პარტიის რაიკომის საქმიანობის შესახებ რაიონული პარტიული კონფერენციის შემდეგ პარტიულ კრებებზე, რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრები მშრომელთა კოლექტივებთან. ამასთან ერთად რაიკომი ცდილობს მიაღწიოს, რომ კომუნისტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველივე იმაზე, რაც ყურადღების ღირსია, ინფორმაციას აწვდიდნენ ზემდგომ ორგანოებს.

კონკრეტულად რა შედეგებს მივაღწიეთ შემოწმების და გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის სრულყოფისათვის მიღებული ზომებით? უწინარეს ყოვლისა, შევნიშნავთ, რომ მტკიცდება პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, ბევრმა მუშაკმა გამოასწორა მუშაობა და უკეთ დაიწყო თავისი მოვალეობის შესრულება. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტებისა და უპარტიო მასების აქტივობა. პარტიულ და საერთო კრებებზე უფრო გულახდილი. საქმიანი საუბრებია. მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოთა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის გეგმა, უზრუნველყვეს ზრდის მაღალი ტემპები. 240-მდე კაცმა ხუთწლედი 3.5-4 წელიწადში დაამთავრა. უმჯობესდება ბევრი კოლექტივის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ამასთანავე კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენს მუშაობაში შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის ჯერ კიდევ მეოლანად როდია დაძლეული სერიოზული დაბრკოლებანი. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები ნილა აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში; ალბად ზრუნავენ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის დაყენების გაუმჯობესებისათვის, აღმოფხვრილი არ არის პრაქტიკა ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის შეცვლისა ხელმძღვანელობის კანცელარული მეთოდებით.

ჯერ კიდევ სრული ზომით არ ხორციელდება კომუნისტების სისტემატური ინფორმირება საქმის ვითარებაზე. რაიონში, ქალაქში, ყველგან არ არის შექმნილი პირდაპირობა, ზრდის თავისუფალი გამოხატვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. უნდა ვალიაროთ, რომ რაიკომისა და რაიაღმასკომის აპარატის ზოგიერთი მუშაკი, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ ერჩნობენ მაღალ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, მუშაობენ ისე, რომ არ ირჩენენ მონდომებას, ინიციატივასა და პრინციპულობას.

პარტიის რაიკომს თავის სისტემატურ მოვალეობად მიაჩნია ბოლომდე დაძლიოს ეს ნაკლოვანებანი, ხელმძღვანელობის პარტიული, ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის განუხრელად იაროს იმ გზით, რომელიც განსაზღვრეს სკკპ XXIV კონგრესმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა.

ა. აზნაუროვი,
საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

უფრო ეფექტური გზებით

შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილია

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ წლევანდელ 10 იანვრის ნომერში დაიბეჭდა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის ახალი თაოსნობის ამსახველი მასალები. თბილისელმა მკერავებმა მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. გადაწყვიტეს შემხვედრი გეგმითა და ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებული პროდუქციის ნახევარი დაზოგილი მასალებით გამოუშვან და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და საერთოდ საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივებს მოუწოდეს მხარი დაუჭირონ მათს ინიციატივას და გაშალონ შეჯიბრება დევიზით: „მტკიცე კონტროლი — ყოველდღიური გეგმის შესრულებას, შემხვედრი გეგმის ნახევარი უზრუნველყოთ დაზოგილი მასალითთ“.

მკერავთა ეს თაოსნობა ამ დღეებში განიხილეს და მოიწონეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა. ამასთან, მათ ერთობლივი დადგენილება მიიღეს, რომელიც ამ შეჯიბრების საყოველთაოდ გაშლას ითვალისწინებს.

მოწონებულია თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის თაოსნობა

კვირეულის დადგენილებაში აღნიშნულია: სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას. მოწონებულია მიერ რევიზიის დროს დაშვებული დარღვევები. ამ წერილის გამო პარტიის ლენინურის რაიკომის მდივანმა დ. ბოლოვაძემ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი **ფაქტები დადასტურდა.** პარტიის ლენინურის რაიკომის ბიუროს ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ღლონტს გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებით, დადგეხილება საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ავალებს, რომ ერთი თვის ვადაში შეიხსნელონ, განიხილონ და წარმოადგინონ სამინისტროს შესაბამის დარგობრივ და შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილებებში წინადადებები თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ინიციატივის გავრცელების შესახებ, იმ პირობით, რომ ეგრ მოკლე პერიოდში განხორციელდება. საწარმოებში ეკონომ-განმარტებითი მუშაობა ჩატარონ კოლექტივის ყველა წევრთან აღნიშნული ინიციატივის გავრცელების მნიშვნელობის შესახებ, რათა ეზრუნველყონ მუშაობა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაც შეიძლება ფართო მასების ჩაბმა მის განვრცობაში.

დაიწესონ სისტემატური კონტროლი აღნიშნული ინიციატივის გავრცელების მიმდინარეობაზე, შეჯიბრების შედეგების ყოველდღიურად შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღნიშნული ინიციატივით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით გაატარონ ქმედითი ღონისძიებები პროდუქციის ფდფფ-ეტიკოდ გამოშვებისა და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების მეთოდისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დასანერგავად. მიიღწიონ ხარისხეს სახელმწიფო ნიშნით პროდუქციის გამოშვების გადიდებას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას, სამუშაო დროის დანაკარგებისა და მუშახელის დენადობის შემცირებით მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას.

დადგენილება ავალებს სამინისტროს შრომაწმეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრს უზრუნველყოს თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის გამოცდილების შესწავლა და გავრცელება სისტემის ყველა საწარმოში. ხოლო სამინისტროს შესაბამის დარგობრივ განყოფილებებს, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილებას და სატეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს — სისტემატური კონტროლი დაწესონ აღნიშნული ინიციატივის გავრცელებაზე.

შემხვედრი გეგმის ნახევარი — დაზოგილი მასალით!

მტკიცე კონტროლი — ყოველდღიური გეგმის შესრულებას!

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„რევიზიაც არის და რევიზიაც“...

რედაქციას უპასუხებს პარტიის ლენინურის რაიკომი.

„კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „რევიზიაც არის და რევიზიაც“... აღნიშნულ წერილში მხილებული იყო დანაშაულებრივი მოქმედება ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში და ლენინურის სატყეო მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სამმართველოს რევიზორ-ბუღალტრის კ. ჩხაიძის მიერ რევიზიის დროს დაშვებული დარღვევები. ამ წერილის გამო პარტიის ლენინურის რაიკომის მდივანმა დ. ბოლოვაძემ რედაქციას აცნობა:

„კომუნისტში“ აღნიშნულ წერილში ნაჩვენებ ფაქტებზე, ასევე ლენინურის სატყეო მეურნეობაში, ქ. ბ. ბ. ... ...

მსოფლიო დღეს

კვიპროსს—სრული დამოუკიდებლობა!

● გმობენ თურქთა თემის ხელმძღვანელთა უკანონო გადაწყვეტილებას ● კვიპროსის მთავრობის მხარდასაჭერად

გუდაუეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და მთელმა უნგრელმა ხალხმა ულრმესი აღფოთვის გრძნობით აღიქვეს ცნობა, რომ თურქთა თემის ხელმძღვანელებმა კვიპროსში გადადგეს ცალმხრივი ნაბიჯები განცალკევებული სახელმწიფო ერთეულის შესაქმნელად კუნძულის ტერიტორიაზე, რომელიც თურქეთის ჯარებს უკავიათ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას აღნიშნულია დოკუმენტში, მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ უნდა იხმაროს ეფექტიანი ღონისძიებები თავისი გადაწყვეტილებების შესრულების ინტერესებისათვის. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერს წინადადებებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით შეიტანა საბჭოთა კავშირმა.

პრაღა. აქ გამოქვეყნდა განცხადება კვიპროსში ვითარების გართულებასთან დაკავშირებით. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, ნათქვამია განცხადებაში, შოდან თანამიმდევრულად გამოდიოდა კვიპროსის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ისევე როგორც კვიპროსის კონნიერი მთავრობის დასაცავად. ჩეხოსლოვაკიის სათანადო ორგანოები გმობენ თურქთა თემის ხელმძღვანელობის ცალმხრივ ნაბიჯებს კვიპროსის ტერიტორიის ნაწილზე განცალკევებული სახელმწიფოს შესაქმნელად და მიიჩნიათ, რომ კვიპროსის პრობლემა უნდა განიხილოს და გადაჭრას წარმომადგენლობითმა კონფერენციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

ვარშავა. „გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს, რომ დადგა დრო გადაუდებლად და მთლიანად შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი კვიპროსის შესახებ. მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის საჭიროა კვიპროსის საკითხი განიხილონ ფართო საერთაშორისო ფორუმზე და მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წარმომადგენლობითი კონფერენცია, წერს პოლონეთის გაერთიანებული შუამდგომლობა ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

ბუქარესტი. მდგომარეობა კვიპროსში ჯერ კიდევ უფრო გართულდა თურქთა თემის ხელმძღვანელობის ამასწინანდელი გადაწყვეტილების შედეგად, რომ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში შექმნას სახელმწიფო ერთეული, წერს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „სკინტეია“. არსებული პრობლემების მოწესრიგება შეუძლებელია ცალმხრივი მოქმედებით. ეს შესაძლებელია მხოლოდ კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში ორივე მხარის თვალსაზრისისა და ინტერესის გათვალისწინებით. „სკინტეია“ აღნიშნავს, რომ საჭიროა ყოველი ღონე იხმაროს კვიპროსის კრიზისის მოწესრიგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების განსახორციელებლად. (საქდესი).

ნიკოზია, 19 თებერვალი. (საქდესი). კვიპროსელი ხალხი მხარს უჭერს კვიპროსის მთავრობის თხოვნას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სასწრაფოდ მოიწვიოს სხდომა, რათა განიხილოს კვიპროსში შექმნილი მდგომარეობა.

სრულიად კვიპროსის ლტოლვილთა კომიტეტის, პროფკავშირულ და სახოგადოებრივი ორგანიზაციების მოწოდებით დღეს ქვეყანაში ორი საათით შეწყდა ფუნქციონირება მთავრობის პოზიციის მიმართ დასაჭერად და იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად; რომ თურქეთის თემის ხელმძღვანელებმა ცალმხრივი წესით განახორციელეს კუნძულზე განცალკევებული სახელმწიფოს შექმნის ღონისძიებები. ამ მოწოდების მხარი დაუჭერა აგრეთვე კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესულმა პარტიამ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შუდმივი წევრი ქვეყნების ხიოზიის საელჩოთა შენობებთან გაიმართა დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეებმა მოითხოვეს კუნძულიდან უცხოეთის მთელი ჯარების ევაკუაცია და კვიპროსის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულება. კვიპროსის საზოგადოებრიობის დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის საელჩოს და გულწრფელი მადლობა გადაუხადა სსბ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს იმისათვის, რომ ყოველმხრივ ეხმარებიან და მხარს უჭერენ კვიპროსელებს, რომლებიც იბრძვიან რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

სასარგებლო კონტაქტები

ეგვიპტის მინისტრის განცხადება

კაირო, 19 თებერვალი. (საქდესი). ეგვიპტის სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ფაჰმი განსაკუთრებით შეეხო საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობას.

მან თქვა, რომ 1974 წელს საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ხელმძღვანელებს მუდმივი კონტაქტები ჰქონდათ ორივე მხარისათვის საინტერესო ყველა ძირითადი საკითხის გამო. მე სამჯერ ვეწვივე საბჭოთა კავშირს და სამჯერვე შევხვდი ლ. ი. ბრეჟნევს. ამ შეხვედრების დროს ყოველთვის ვგრძნობდი მის ზრუნვას ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებისათვის.

ორი ქვეყნის კონტაქტებმა დადებითურეს, განაკრა ეგვიპტის მინისტრმა, რომ ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში უთუოდ არის პროგრესი, რომელსაც საფუძველად უდევს ორივე მხარის სრული გულახდილობა და ურთიერთპატივისცემა, რწმენა, რომ საჭიროა შეინარჩუნონ ჩვენი ორი ქვეყნის კარგი ურთიერთობა.

ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის, ხაზგასმით აღნიშნა ი. ფაჰმიმ, არ არის რაიმე უთანხმოება საერთაშორისო პრობლემებ ზ ე. არსებობს პრინციპული მოსაზრებანი, რომლებიც აერთიანებენ ჩვენს შეხედულებებსა და პოზიციებს. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ ვალდებულებით, რომ ვიმოქმედოთ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის, ვიბრძოლოთ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამბები • ფაქტები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

□

ტელეტაიპის ლენტიდან

გულგარეთი

ძმური თანამშრომლობა

სოფია, (საკადესი). ავტომანქანა „ეიგულის“, რომელსაც ვოლგის საავტომობილო ქარხანა უშვებს, ბევრი დეტალი დამზადებულია ბულგარეთში. ერთ-ერთი საწარმო, რომელიც ამ დეტალებს ამზადებს, არის სლივენის „დინამოს“ ქარხანა. ამას წინათ ქარხნის კოლექტივმა აღნიშნა ღირსშესანიშნავი მოვლენა — სსრ კავშირს გაუგზავნა მემილიონე გენერატორი.

ფართო კონტაქტები აქვთ სხვა საწარმოებსაც: ამჟამად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები მუშაობენ „კამაზის“ მარკის ავტომობილისათვის ახალი კონსტრუქციის საჰაერო ფილტრის შესაქმნელად.

ვაშინგტონი

სენატორთა გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 66 ხმის უმრავლესობით 28 ხმის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესის სენატმა ჭიილო და თეთრ სახლს გაუგზავნა კანონპროექტი, რომელიც 90 დღით ყინავს პრეზიდენტის რწმუნებულებებს საიმპორტო ნავთობზე გადიდებული გაჟის შემოღების საქმეში. ამავე დროს სენატის გადაწყვეტილებით გაუქმებულია პრეზიდენტის მიერ უკვე 1 თებერვლიდან შემოღებული ბაჟი შემოსატან ნავთობზე. მანამდე კანონპროექტი მოიწონა წარმომადგენელთა პალატამ.

როგორც კი ცნობილი გახდა სენატში კენჭისყრის შედეგები, პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გაიკეთა წერილობითი განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ განზრახული აქვს ვეტო დაადოს კანონპროექტს.

ათენი

კ. ვალდჰაიმის კონსულტაციები

ათენი, აქ ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი რომელიც უნდა მოეთათბიროს საბერძნეთის მთავრობას კვიპროსის საკითხზე უკანასკნელი ამბების გამო, რაც კუნძულზე მოხდა.

კ. ვალდჰაიმი ათენში ჩამოვიდა ანკარიდან, სადაც ანალოგიური კონსულტაციები ჰქონდა თურქეთის მთავრობასთან.

(საკადესი, 20 თებერვალი).

ევროპაში მშვიდობისათვის

ბონი, 20 თებერვალი. (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა გამოაცხადა, რომ იქმნება ორგანიზაცია „კომიტეტი — ფაშიზმისაგან განთავისუფლებისა და ომის დამთავრების 30 წლისთავი“. მათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას მოუწოდეს აღნიშნოს წლისთავი ლოზუნგით: „ჰიტლერული ფაშიზმისაგან განთავისუფლების 30 წელი — ევროპაში მშვიდობისათვის ბრძოლის 30 წელი“.

შეიქმნა „კომიტეტი — ფაშიზმისაგან განთავისუფლებისა და ომის დამთავრების 30 წლისთავი“

□

